ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03. 3724080001**
თარიღი:**20/03/2024**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ანგარიშის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 20 მარტს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული შესყიდვების ანგარიში.

კომისია აღნიშნავს, რომ ანგარიში წარმოდგენილია კანონით გათვალისწინებული ფორმატითა და სტრუქტურით, კერძოდ, განმარტებითი ბარათითა და ინფორმაციით საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებებისა და გამოცხადებული ტენდერების შესახებ. ამასთან ერთად წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების რეესტრი.

ანგარიშში მოცემულ არშემდგარ, უარყოფითი შედეგებით დასრულებულ და შეწყვეტილ ტენდერებს მუნიციპალიტეტის კონკრეტული საჭიროებებზე ზეგავლენა არ მოუხდენიათ, რადგან პროცედურები ჩატარდა განმეორებით, რის შედეგადაც გამოვლინდა გამარჯვებული და განხორციელდა შესაბამისი შესყიდვები.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ანგარიშის გატანა საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი